0:0

გაგრა, 6 მარტი (ჩვენი კორ.). აქ გაიმართა თბილისისა და მინსკის "დინამოს" თანაკლუბელთა გუნდების საწვრთნელი მატჩი.

თბილისელთა შემადგენლობაში გამოდიოდნენ სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრები, რომლებიც სულ ახლახან დაბრუნდნენ უცხოეთის ტურნედან. მიუხედავად ამისა, თბილისელმა ფეხბურთელებმა ვერ შეძლეს მეტოქის დამარცხება და დასჯერდნენ ფრეს – 0:0.

თბილისელები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: ურუშაძე, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ხინჩიკაშვილი, პეტრიაშვილი, კუტივაძე, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, ქარქაშაძე.

”ლელო” 8 მარტი 1970 წ.